



# ბრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის ახალი 6 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინიციატივით, აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის ბრიგოლეთი-ქობულეთის მონაკვე-

თზე, შარშან გახსნილ 5 კმ-იან მონაკვეთს ახალი 6 კმ-იანი მაგისტრალური გზა დაემატა, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა.

▶▶▶ 88-2



# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.  
 ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10465) 11 დეკემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

## გამწვენილი ფილტრები – რეჟერპუმი (!?)

3 დეკემბერს, დილიდან, მდინარე აჭისწყლის ხეობა, სოფელ მაკვანეთის ქვედა ზოლი, ქალაქ ოზურგეთის დასავლეთი მხარე ასფალტის ქარხნის მიღებიდან ამოსული მუქ კვამლში იყო გახვეული. როგორც აღმოჩნდა, კომპანია გამწმენდ ფილტრებს არ იყენებდა. საქმე ძიებისთვის გარემოსდაცვით რეგიონალურ ინსპექციის განყოფილებას გადაეცა.



**ალიონი.** წლებია, თითქმის ყოველდღე ქალაქ ოზურგეთის დასავლეთ ნაწილს, მაკვანეთელს, ლისაურელებს აღვიბებს მდინარე აჭისწყლის ხეობაში არსებული შპს „ერტბ“ ასფალტის ქარხნის (აღრე „ბლეკი ვეფუფს“ ეკოთენ-ოდა) ხმაური. ქარხნის მიღებიდან წამოსული ამონაბოლქვი ქარის მოძრაობის მიხედვით გადაფენილია ხან მაკვანეთი-შემოქმედი მხარეთულებით, ხანაც ლისაური-ჭანეთისკენ.

საზოგადოებას არანაირი ინფორმაცია არ აქვს, რა გავლენას ახდენს გარემოზე, ნიადაგზე, მდინარე აჭისწყლის აუზზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მხრჩოლავი ეს კომპანია. მსოფლიო ვანდაცვის ორ-

განიზაციისა და ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში ჰაერის დაბინძურების მარცხენა-მარჯვენა მხარეა.

3 დეკემბერს, დილიდან, მდინარე აჭისწყლის ხეობა, სოფელ მაკვანეთის ქვედა ზოლი, ქალაქის დასავლეთი მხარე ასფალტის ქარხნის მიღებიდან ამოსული მუქი კვამლში იყო გახვეული. ფერის, სუნის, მტვრის ნაწილაკების მიხედვით, აშკარა იყო ატმოსფერულ ჰაერში მდებარე ნივთიერებების კონცენტრაცია (ზღკ), დას-შეგ ზღვრულ ნორმაზე გაცილებით მეტი იყო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში რამდენიმე მოქალაქე დარეკა. ტს-

▶▶▶ 88-3

## „კოლატი“ ოზურგეთისკენ მიიწვევს კომპანია „კოლატი“ მდინარე ნატანების ხეობაში მილიონობით კუბურ მტრ ნემრულ მასალას მოიპოვებს. მიუხედავად არაპროტი სტატიისა, მდგომარეობა უფრო უარესდება.

**ალიონი.** იმათ, ვისაც ახლოს გასული საუკუნის 90-იანი წლები, როცა სიღუპის გამო, ქოზურგეთის ქვემოთ, მდინარე ნატანების სანაპიროს სავსეა დაზარალებული დაზარალებული სიძინის ფართობები ჰქონდათ და შემოდგომაზე უხე მოსავალს იღებდნენ სოფელ ოზურგეთელი, ბოხვარული, ექადიელი, ზვანელი და ლაშელი მეყანებიდღეს, მათ ფართობების მისაღვომებთან მძლავრი ექსკავატორები მუშაობენ და მლიონობით კუბური მტრ ინერტული მასალას ეზიდებიან მძიმე ტვირთაშწიების ავტოები. ახსრებულ მდინარის ხეობის მიმდებარე გორებიდან მეწყერია ჩამოწოლილი.

რამდენიმე დღის წინ ვერძლით კომპანია „პოლატის“ მიერ შავიზღვისპირა 20-კილომეტრანი ზოლის მე-12 კილომეტრზე ფერმერ აკაკი დლონტზე მიყენებული ზარალისა და ცენტრალური მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების მდგომარეობის შესახებ. სოფელ გურიანთის მხარეს ნაწილობრივ ჩამოშლილია კაპიტალური ყორე, რომელმაც გაზსადენი უნდა დაცივას მდინარის შემოტევისას. არც გასხვისების ზონა (25 მეტრი) დაცულია და გაზსადენის საფრენი ბოძები გამშვლებულია.

27 ნოემბერს, „პოლატის“ 4 ექსკავატორი მდინარის გაღმა, ლათიურის წყალსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობდა. ისინი სანაპირო ზოლის შიგნით



იყვნენ შეჭრილი, რაც სამომავლოდ, წყალდიდობის შემდეგ, მდინარის მიერ სანაპირო ზოლისთვის წართმეული ახალი ფართობებით დამთავრდება და რეალურ საფრენს შეუქმნის სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მრავალმილიონიან პროექტს – დაბალათიურის წყალმომარაგებას

ამჯერად „პოლატი“ ქოზურგეთის ბოლო დასახლებიდან დაახლოებით 1,5 კილომეტრში იდებს ინერტულ მასალას და თურქული კომპანია სწრაფი ტემპით მოიწვევს გურიის რეგიონული ცენტრისკენ.

გასულ კვირას, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოსიან“ ერთად კვლავ მოვინახულეთ მდინარე ნატანების ხეობა. კარიერის მისაღვომებთან ათეულობით სატვირთო

ავტო იდგა დატვირთვის მოლოდინში. მდინარე აუზში ჩამდგარი ექსკავატორები შეუსვენებლივ იღებდნენ მდინარიდან ქვალორღს. გარემოსდაცველები გამოვიდნენ, რომ მიგველო ინფორმაცია, რამდენად კანონიერად, წესების დაცვით მუშაობდა კომპანია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები მოვიდნენ და კონტურები შეამოწმეს, თუმცა პასუხს, რამდენიმე დღე დასჭირდება – გვითხრეს, შემდეგ კი ინფორმაცია არ მოუწოდებიათ. წიადის ეროვნული სააგენტო კი თევებია, გამოთხოვლ საჯარო ინფორმაციას არ იძლევა.

დაღამდა. გზად არაერთი ცარიელი სატვირთო შეგვხდა, რომ-

ლებიც კარიერისკენ მიემართებოდნენ.

იმედია, სამტრედია-გრიგოლეთი-ქობულეთი-სარფის ავტომგისტრალის მშენებლობა დასრულდება და მასზე იქოლებენ ვეროპიდან აზიისკენ მიმავალი ავტომობილები, მაგრამ გურიას დარჩება ახსრებული მდინარეები, საკარმიდამო წართმეული ათეულობით აქაური მცხოვრები, კვბში გაქრალი წყლები, უწყლობით გამხმარი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებით გაშენებული მოცვის და სხვა კენკროვანი კულტურების პლანტაციები

კლიმატის ცვლილებებზე საუბრები გურიას არ ეხება(!)



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქციური**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani15@gmail.com  
 558 499100  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია  
 «ალიონით»

### ჩონატაურის მუნიციპალიტეტის „ინვესტორთა თვის მემორიული მუნიციპალიტეტის“ სტატუსი მიენიჭა



ქალაქ თბილისში გაიმართა პოლიტიკის განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს პოლიტიკური პროექტის „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მეწარმეობის განვითარება“ ფინანსური კონფერენცია, რომლის მიზანი იყო სამწლიანი პროექტის განხორციელების შეჯამება და „ინვესტორებისთვის მემორიული“ სერტიფიცირების პროცესში მონაწილე მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების ოფიციალური დაჯილდოვება. პროექტით განსაზღვრული აქტივობების ეტაპობრივად განხორციელების შედეგად, რომელიც ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს განვითარებასა და ინვესტორებთან ურთიერთობების სტანდარტების დანერგვას, ჩონატაურის მუნიციპალიტეტმა წარმატებით დაასრულა სერტიფიცირების პროცესი და მიიღო „ინვესტორებისთვის მემორიული მუნიციპალიტეტი 2023-2026-ის“ სტატუსი. ჯილდო ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს **მაია კუტუბიძეს** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **მზია გიორგობიანმა** გადასცა. პროექტი „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდა და მეწარმეობის განვითარება“ განხორციელდა პოლიტიკის ფონდებისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს, პოლიტიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დანერგვის ფონდისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

### ბრიგოლეთი-ქობულეთის მავის-ტრალური გზის ახალი 6 კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა



მათივე ცნობით, გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი 14 კმ-იანი, 4 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მიწების და მიწისქვეშა გასასვლელის მშენებლობას მოიცავს. „საბოლოოდ, ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი მაგისტრალური გზის 11 კმ-იანი, 4 ზოლიანი მონაკვეთზე უკვე გახსნილია. სამუშაოები აქტიურად გრძელდება და დარჩენილ 3 კმ მაგისტრალურ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2024 წელს გაიხსნება. გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება და მისი ღირებულება 228 მილიონ ლარს შეადგენს. გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის საშუალებით, სამტრედია-გრიგოლეთის გზა ქობულეთის შემოვლით გზას დაუკავშირდება და სატრანსპორტო ნაკადი გრიგოლეთიდან ქობულეთის მიმართულებით ჩქაროსნული ავტომაგისტრალით იმორეგდება.“ - აღნიშნულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციაში.

### გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, პირველ მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან ათანადილ თალაკვაძესთან ერთად სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსს იონანე მენაძეს შეხვდა. შეხვედრაზე ურუშაძე-გვეთილის განაშენიანების გეგმის შემუშავების კუთხით ამ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოები განიხილეს, რომელზეც სააგენტოს დაკვეთით არქიტექტურული კომპანია „ნიუ სიტი დეველოპმენტ“ და უცხოელი ექსპერტები მუშაობენ.



### თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შიშოჭიაშვილი**, სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონების განვითარების დეპარტამენტის უფროსთან ლაშა შალაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფლებში: აკანასა და ჭან-იეთში ფერმერთა რეგისტრაციას დაესწრო. ფერმერებმა თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შესაძენად განკუთვნილი ფინანსური დახმარების მისაღებად, 2023 წლის 4 დეკემბრიდან 2024 წლის 29 მარტის ჩათვლით თხილის კლასტრში უნდა მოახდინონ ბალების რეგისტრაცია. თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო აგროქიმიკატებისა და პესტიციდების ღირებულების სუბსიდირებას.

### ჩონატაურის მერის ინიციატივით სოფელ ჩხაპაურაში საერთო კრება გაიმართა



საერთო კრებებზე განსახილველი საკითხი იყო: „ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობის გასწავლისთვის და ინტერესების გათვალისწინებით სოფლის განვითარების პერსპექტივები“. სოფლის მოსახლეობამ კენჭისყრის საფუძველზე მათთვის პრიორიტეტული სამი საკითხი აირჩია: **სპორტული მოედნის გადართობა; საბავშვო ბაღის მშენებლობა;** **ველობილიკებისა და ფანჯარების მოწყობა ჩანჩქერის მიმართულებით.** საერთო კრებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტისა და **USAID**-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის წარმომადგენლები






# გურულის ფესვებიანი დიდი კაცი!



1861 წლის ცხელი ზაფხულია. ილია პეტერბურგის საზღვაო ტოვებს საქართველოში ბრუნდება. „როდესაც ნ. ნიკოლაძე და მისი აზნავები პეტერბურგისაკენ მიდიდნენ, ი, ჭკვევატე პეტერბურგიდან სამშობლოში მოუბრუნებულა. ამიტომ მათ პეტერბურგში ვერ გაიყვნენ ილია, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ შეტყვეს სხვებისაგან, შეტყვეს ისიც, რომ ილიას საქართველოში წამოსვლის შემდეგ ქართველ სტუდენტთა შორის მეტი გავლენა ნიკოლოზბერიძის მოუბრუნებულა. თუმცა ის ილიასაგან ბევრი განსხვავდებოდა, სხვა შეხედულებას და სხვა ბუნების კაცი იყო.“ წერს დავით გამყარაძე ნიკოლოზბერიძის თხზულებათა I ტომის წინასიტყვაობაში, რომელსაც თავისი მნიშვნელობის გამო კიდევ მრავალჯერ დავუბრუნებდები.

მანამდე კიდევ ბევრი რამ გვაქვს სათქმელი თავად ნიკოლოზბერიძეზე, თუმცა, გურულ ფესვებზე კიდევ ერთხელ რომ არ ვთქვა, ისე როგორ იქნება?! არ იქნება და სწორედ ამიტომ მოვიხმობთ ერთი „მოწმობა“ , პირადად ჩემგან მხოლოდ ერთი კვირის წინ „დამოწმობი“, თანაც ლამის ერთდროულად არა ერთ, არამედ ორ „ადგილზე“!

პირველი, ერთი ხელის გაწვევანაზეა ის. ბატონ კასა ჩაველიშვილის სტატია („გურულის მოამბე“ სექტემბერი 4, 2023). აი, მთელი სტატია 10 წლის წინანდელია, ავტორი ბატონი გივი ლობჯინია და „ნიკოლოზბერიძე 170 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულში“ გამოქვეყნებული. ბატონი კასაც ამ წყაროთი სარგებლობს, რაც წერილის ბოლოს მინასწერი ადასტურებს.



მეცა ესე ჩვენ ქვემოთვე ამის ხელისმომწერი ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის უხვის თავადი და აზნაურთაგან ქუთაისის მცხოვრები აზნაური თაკობ და ივანე მამუკას ძეთა და მხისწულსა მათსა დავიდ გრიგოლის ძეს ნიკოლაიშვილებთა მისთვის, რომელ სენი სწარმოებენ გვარისაგან მათ აზნაური ნიკოლაიშვილებთა, რომელნიცა ცნობილ არან უმადლესად დაწესებულის ქუთაისისა შინა ყოფილის კომისიისაგან. სოფელსა ასკანას და ნიკოლოზის მცხოვრებნი; საყვარელ, თარხან, სოფრომ, ივანე, ოტია, ფარნაოზ, მისაილ, ბეჟან და ანანია ნიკოლაიშვილები ნამდვილ არან სახლის კაცნი მათნი და წინაპრნი

პირველთა ყამსა განსუხებულთა გურულის მთავართა, ყოფილან ერთ მოხარისხენი უკანასკნელთა, და მარადის უსარგებლიეს ყოველთა მით სიმართლითა ვითარნიცა თვის ეცვიან აზნაურსა ღირსებასა ვითარ ჩუენდამი ცნობილ არს შემდგომად მამა იაკობის და ივანის, ხოლო დავითისა ბაბუა მამუკა დავითის ძე ნიკოლაიშვილი მკვირე წლოვანობის დროს დაკარგულად შემდგომ მოსვლისა წლოვანებასა შინა დასახლებულა უხვის ქალაქსა შინა გორს, იწოდებოდა რა ნიკოლაძეთ უკანასკნელ გარდმოსრულ არს აწინდელსა საცხოვრებელსა ქალაქსა ქუთაისისა დასარწმუნებლად რომლისა მოგაწეროთ საკუთარსა ხელსა ჩუენსა თებერვლის გ(3)სა დღეს ჩვენსა (1853)წელსა.

პროპორშიკი კ.ზ. ვიორგი მჭუტაძე პორუჩიკი კნაზ დათა გუგუზავა პროპორშიკი კნაზ ყარამან მეზ-საბევის ძე თავდვირიძე კნაზი მისაილ ნაკაშიძე პროპორშიკი ბაგრატ საყვარელსა ძე ნაკაძე პროპორშიკი იასე ვიორგის ძე მდივანი აზნაური ვახტანგ ივანე ძე ჯაველი პროპორშიკი კნაზ ვიგო ნაკაშიძე კნაზი ბეჟან გუგუზავა პროპორშიკი ვიორგი ჯაველი აზნაური ალექსანდრე თაყაიშვილი აზნაური ზაჟა ასათიანი კნაზი ვიორგი მჭუტაძე აზნაური ქახიხორი კვამლი

წინამდებარე დოკუმენტს („მოწმობა“), რომელიც 1853 წლის 7 თებერვლის დამტკიცებულია სასახლი ბეჭდით, ხელს აწერენ ოზურგეთის მაზრის უფროსი ს. მჭავარაძე და მდივანი კულვანოვიკი. (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, საქმე 235, ფურც. 6, 7.)

კარგი ამბავია, მე თუ მკითხავს კაცი, განსაკუთრებით გურული, თუმცა „მოწმობა“ კიდევ უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა დაინტერესებული საზოგადოებისთვის, მისი, გაცემის მიზეზიც რომ გვეჩინოდა თუნდაც სულ მცირე მინიშნებაც კი. არ გვაქვს...

რაც ვიზამთ, რაც ვიცით იმით დავამყოფილეთ და ერთი კარგად ცნობილი ინფორმაცია გავისწორებთ ბატონ გურამ შარაძის მიერ, მისი ულად მოთხრობილი (ზემოთქმული კი გაუმორდება, რამდენადაც, მაგრამ, არა მგონია რამე დამაფიქსურებელი და ვეცა...) „სანამ ილია ჭკვევატე პეტერბურგში მიყოფებოდა და ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სულიერ მეთაურად ითვლებოდა, თავის კაბუკ თანამემამულეებს აღანთებდა სამშობლოშითა თავდადების ღრმად პატრიოტული სულიერებით, რაც თურმე მისი პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ განელებოდა. კირილე ლორთქიფანიძის გულისტკივლით უთქვამს 1861 წელს რუსეთის სატახტო ქალაქში ახლად ჩასულ კაბუკ ნიკოლოზბერიძისათვის: „სანამ ილია ჭკვევატე იყო აქ, მსჯელობას და ლაპარაკს ქე მანც გაავრთებდა კაცი მამულის სიფარულზე. ის წაყვია, და ეხლა რაუზერზე და ვოზზე [პეტერბურგელი თერძი და მეჩაღე იყვნენ] თუ გავივინებ სჯას, მეტზე არაფერზეო...“; ხოლო თვითონ ნიკოლოზბერიძე ასე ახასიათებს ილიას გარემო დარჩენილ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტობას: „საკვირველიცაა, მართლა, 1861 წლის ზაფხულზე, როცა ველხები თავისუფლდებოდნენ (მატონემაძისგან), როცა სტუდენტების მოძრაობა მზადდებოდა, როცა მთელ ვერობას ის უცხო ალი ჰქონდა მოდებული, რომელიც ვარიბალდომ ანთო, პეტერბურგში, რუსეთის სატახტო ქალაქში, ოცზე მეტი ჩვენი ახალგაზრდა იდგა და მათ მუსაივში, მათ სიტყვებში ერთი უბრალო ხსენება არ ყოფილა რამე საზოგადო მიზნისა, ან საზოგადო საქმისა, ან მოვალეობისა, ანდა მზადებისა... ლაპარაკი ნიადვ უზნიშნული, საყვავლელი, კერძო საქმეზე ბრუნდებოდა, კერძო თავმოყვარეობაზე, კერძო ინტერესებზე, და მეტზე კი

არაფერზე“. ის კი არა, როცა ერთმა უფროსმა ქართველმა სტუდენტმა ერთხელ ნიკოლოზბერიძეს უწინააღმდეგედა „სოვრემენიკის“ კითხვაზე წასწრო, თურმე გაბოროტებით უთხრა: „გაიხსენე ჩემი სიტყვა, თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭკვევატე წახდა. ისიც აქ შილდერის, ბარონის და ვალტერსკოტის კითხვის მეტს არას შერებოდა და, დაესხა თავსაფი, ისე წაყვია, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდაბლომით წაბრძანდა... ამა, ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?...“

როგორ კარგად გვიხატავს ამ ტიპური რეტორიკის სიტყვები ილიას პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ იქაურ ქართველ სტუდენტებში გაჩენილ სულიერ სიყვარულს, ამა-სიან, რა ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ილიას იმდროინდელ მისწრაფებებსა და გატაცებებზე... „მატანეს კალენდრი“ 1863 13 მაისა, „ნიკოლოზბერიძე კირილე ლორთქიფანიძეს წერილი წერს, სადაც ვკითხულობთ“ „ხანდახან მე ვაგვიხსენებ ჩემს მოქმედებას ვკითხვავ ჩემ თავს: რა მქნია, რა გამოკეთება? და მამინე პასუხს ვაძლევ ჩემ თავს: „არაფერი!“ მაგრამ თუმცა არაფერი მქნია და არ გამოკეთება, ხშირათ მა-გონებდნენ პლეშჩენკის 499 სიტყვები: „Я духом слаб, я изнемог Сломил меня тяжести рок! (სულიერად დაცემული და დაქნეული ვარ, საღამო კლდემ დამამსხვრია. (თარგმანი ჩემია და მანაც ნუ მენდობით!)

რისთვის? არ ვიცი... მე ვერ არ დავცემოხარ სულით, კიდევა მაქვს იმედი რასმის გაკეთებისა და როდესაც დავრწმუნდები, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლება, მამინე მეძაბე პოლტოვსკის 409, ვინ იცის, მთა კირილე, ენაზე ჩვენ ერთმანეთს თუ არა? ვინ იცის, მივლებ მე შენ წიგნსა თუ არა? ძე ნამდვილს ვერ კიდევ ვერაფერს მოეწერ... ეხლა ავიხსნი, თუ რა აზრი მაქვს ჩვენი აქ შეკრების შემდგომ... თუ ბედმა მოგიყვანა ქუთაისის ჩვენ, ესე იგი შენ, შოგიერთი ჩვენი სტუდენტები: ბაქრაძე?! „აღმუშელო?“, მე, მინდა აქ გავხსნათ ერთი ტაბოგრაფია და დავებულოთ შიშ ხალხისთვის აზბუკები, არითმეტიკები, სახალხო წიგნები, ერთის სიტყვით, და პატარა პოლიტიკური, ლიტერატურული და სატირიკული გაზეთი, ფულები მე მაქვს: მამა ჩემმა! ეხლაც მესხვერვა: კარგ წიგნის მკაზხას და ბიბლიოთეკას გავიხსნიო, ტაბოგრაფიის ფულებს მოეცემა, თუ აქ დღარჩებო, თუ არა და, მერცხე: რომ მოხვალა, რასაც ვინდა, იმას მოკიდე ხელიო, გარდა სამსახურისაო. მამასადაც, ჩვენ საშუალება კი გვექნება, ოღონდ ვიშვინოთ მწერლები... ეცადე, მხო კირილე, თუ მე არ ვიქნები, შენ გაქვს მამული, შეძლება — ვანა ორი ათას მანეთს ვერ იშვინო? ეს სასარგებლო იქნება ჩვენი „ხალხისთვის“.

„საქართველოს, მოამბე“?!, ხომ მოგვხსენებ, წახდა, მთორე ნოზერი სამცხელია, არც ერთი სტატია არ ვარგა, მესამე ვერ, ესე იგი 29 აპრილამდე, არ გამოსულა, დემბრით იცის, როგორ გათავადებ მისი ბედი. როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ამხანაგე 165. ბი შვეკობებით ქუთაისის ჩვენი საქმის ასასრულებლათ, ჩვენი ძმობის დასაცვლელად? როდის მოვა ის ბედნიერი დღე? ნეტავი ვიცილე, თუ არის ჩვენ საზოგადოებაში იმისთანა ყმარწვილები, როგორც იცნენ უწინ, ჩემსობას, რომელთა...“ დემბრით, რომელთაც არ სწამათ დემბრით ძმობისა და ერთობისა? დემბრით, როდის იქნება ჩვენი «молодое поколение» (ახალგაზრდა თაობა გ.) გაკეთდეს, წიგნებს ხელი მიყონ, ტანისამოსის საქმეს თავი დაანებონ, ერთი სიტყვით, იმას (!? გ.) აღარ ვაზღვევრ.

მძიმე სურათია. მეტად მძიმე. კალენდარზე, აპრილზე 1870 14 ივლისია, „კირილე ლორთქიფანიძე ნიკოლოზბერიძის ვაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ არ მოსწონს ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ილია ჭკვევატის შემოქმედების შესახებ და რომ კარგი იქნებოდა, მის საპასუხოდ ნიკოლოზბერიძეს ვრცელად და საფუძვლიანად განეხილა ილიას ნაწარმოებები“. და ნეტა რა სიტყვა ასეთი ალექსანდრე ცაგარელმა? ამის გასარკვევად ვაზივი „დროება“ (1870, 2) ვერ პირველ და შემდეგ მთორე გვერდზე უნდა გადავფურცლოთ. მეტად ბევრისთვის მათი სათაური აქვს „ჩვენი უხელო მწიგნობრობა ამ საუკუნეში“; ვთქვით ისიც, რომ სტატია სარედაქციო წინათქმაც აქვს დართული, და მე, მიზეზთა გამო, მის მოვარ ნაწილს გვერდს ვერანა-რად, ვერ აუვლი. „ეს სტატია მოუვიდა რედაქციას მთურხნიდგან ერთი თავის თანამშრომლისაგან. თუმცა რედაქცია ძნელად დაეთანხმება პატივცემულ ავტორს ზოგიერთი ჩვენი მწერლების დაფასებაზე და ზოგიერთს კერძო მოსაზრებაზე, მაგრამ მანც დიდი სიმამრებით ბეჭდავს თავის გაზეთში ამ სტატიას, მით უფრო რომ ის (სტატია) პირველად შეეხება ძლიერ საინტერესო, მაგრამ ვერ გაუხილველ, სავნებას იქნება ამ სტატიამ საფუძვლიანათ ვერ დაფასოს და ასწი-ნოს ზოგიერთი ჩვენი მწერლები და ლიტერატურის ნაწარმოებები; ვაზეთისთვის დაწერილს მოკლე სტატიას ეს არც ეთხოვება; იმას მანც იქვს, რომ აღძრავს ამ სავანზე სჯას: შეიძლება ამ სტატიის გამო გამოჩნდნ შემდეგში ისეთი პირები, რომელთაც მოკიდონ ხელი ჩვენი ლიტერატურის განხილვასა და უფრო საფუძვლიანათაც განხილვას; ეს, იმეღია, ყველათვის სანატრული და სასარგებლო იქნება. — სტატიის ბეჭდვა გაზეთის ხუთს ში მორჩება.“

გარდა სარედაქციო წინათქმისა წერილის ორი ეპიგრაფიც აქვს წამდღვარებული: „ვა, სოფელი, რამეგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!...“

„მთა რუსთველი“ „არ ვიცი აძღროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამოუება...“

ნ ბარათშვილი“ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მოვარი ამბები, რომლის მხოლოდ დასაწყისს მოვიხმობ:

„გამოვიდა ის წიგნი, რომელმაც ქართველი თვითთავადიანა სჩანს როგორც სარკეში; საუკუნოები რომ გავდეს და ვისმეს სურდეს ქართველი და იმის ცხოვრება წარმოადიოს, — მარტო წაიკითხავს ამ წიგნსა და საკმაოა. ილია ჭკვევატე რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, საკმაოდ ლანდეს კიდევ და აქვს კიდევაც, მაგრამ არც მომხრებს და არც მოწინააღმდეგებს არ აცოდნენ რიგანათ ან რისთვის ჰვლადნენ ტალახში ან რათა სცემდნ თაყვანსა და გუნდრეს რათ უკმუნდნ; გაუგებრად ნახიარს მისდევდნ და რასაც ერთი დაიბადლებოდა, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე, სხვანაც პანს მისცემდნ; თითონაც არ ეყურებოდათ რა უნდა ვთქვათ ამითი. — ეხლა სისხლმ დაადულა, სიცხე გამოხლდათ და გაუგებარი ქვაც და ძაგებაც მოსწინდით; იყყანეს — იყყანეს და დასჯომდნ, როგორც ქართველების რიგა; თითონ ჭკვევატეც კი ჩრდილს შეეფარა, იმის მიმყოფი ვუნდი კი დარჩა პირდაღებული ასე ორ წყალმუა; — მარტო წინამძღოლის წარმოთქმულს სიტყვებს კიდევ იმორებენ, აფორიზმებით მოკვით საღმრთო წერილის სიტყვებსაგან და ამ გვარად პოეტის ფრთის ქვეში ამოფარებულნი ეს ახალამოღებულნი მწერლები, სინტრასვით არე სიკოსვით წვიბის შემდეგ, უხვად ავსვენენ ცხელ ცრემლსა, თვანთ ვაგლახ „(მოთხრობებში) (ამ პირ შემუშებლავ „მკლანდებში“ ამ სტატი-



ჩოლა გურამიშვილი და ნიკოლოზბერიძე (ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი)

ის მწერალსაც ფეხი უდგას). დვითის წინაშე, თვითონ მოძღვარც კი (ილია ჭკვევატე) არ არის თავისუფალი თავის თხზულებებში „ბებური გულწილობისა და გულმტკიცებულობისაგან“; ამას ეტყვიან (სენტინტალურ, ანუ ჩვენ ენაზე, ასე ვთქვათ „ცინელიანობით პოეზიას“; რომელიც ყოველ წუთში მკითხვარს, ფრთხვების მქადაგებლსაგან. — ასე შეუზაზღვ და რაღაც გამოუცვლელ ლიტერატურულ მიმართულებაში გაუშვა ილია ჭკვევატე (თვითონ თავისი პოეზიის ხასიათიც ვერ გამოიჩინა ცხადათ) თავისი მკერე და ვხის უკოდნელი, მაგრამ ერთგული ლამსკარი, რომლის დროშიც ასე მამკურად ვჭირა და უძღოდა წინა, (თუმცა, საუბელური, მარტო ერთ-ორ წელიწადს), და თავისი უკუდგომით დაამტკიცა ძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება, რომ „პოეტი თავის ხალხის ნამდვილი შვილია“...

სტატიის თქმითვის გაცნობას აქ ვწვევებ! არც მიზეზს ვაცნობთ და არც იმ შედეგს, ჩემთვის რომ მოვიხიშნე. ასე სჯობს ჩემი აზრითა და გონებით!

ამასობაში „მატანეს“ კალენდრით 1870 30 ოქტომბერია და „დროებაში“ იბეჭდება ნიკოლოზბერიძის ფულეტონი „ჩემი მკითხველს“; რომელშიც იგი საუბრობს ენის სიწმინდეზე და უპირისპირდება მათ, ვინც ილია ჭკვევატეს ენას უწუნებს, მაგალითად ეფთვიმე წერიტელს“.

ისე როგორ იქნება ერთი ამხარდი რომ არ გაახლოთ ხსენებული წერილიდან?!

„ჩვენში, ვის არ ახსოვს, რა ნაირათ მიიღეს 1861 თ. ილია ჭკვევატის პირველი თხზულებები? რა კიყინა შექნეს ჩვენს მწერლებს ჭკვევატის „ენაზე“ და „ენის უკოდნობაზე“! რამდენი „შეტომა“ უპოვეს იმის ენა! რამდენი ბრალი დაადვეს მის ლექსს! მის არ ახსოვს, რა მხურავლე ცრემლები დაძვარა „ცი-სკის“ დავარდებულ მხდვრებში ვორისლმ წერიტელმა ექვთიმე ქართული ენის წაბილწვაზე და შეურაცყოფაზე თ. ილია ჭკვევატის თხზულებებში — და ვისთვის არა ეხლა ცხადია — ისე, როგორც დღე დამეზე უფრო ნათელია — რომ ილია ჭკვევატე ქართულ ენას კი არა დააკლო რა, ბევრიც შესძინა? \*\*\*

ერთი სიტყვით, ყოველთვის და ყოველგან ენის წახლენაზე, გაუპატურებაზე ვიხარო მათი და კიყინი წრეზე გადასულ თაობას დაუწყია. — და კაი ბიჭს ვეჭვო იმას, ვინც რომელიმე ძვეწინის ლიტერატურაში ერთ კაკალს, მარტო ერთ მწერალს დამისახლებს, ახალი მიმართულებისა, რომელსაც ენის შიოსთვის და სიღაზათისთვის ბრძოლა და ყყანი პეტეზოს, ამ ნაირ მწერლებს, ყოველთვის და ყოველგან, სხვა, უფრო სა-სარგებლო და საჭირო საქმე ჰქონათ — თავიანთი საზოგადოების აზრის და



# გურულის ფესვებიანი დიდი კაცი!

მდომარეობის გაუმჯობესება...“

წავიკითხე ნიკო ბატონის ეს სტატია თავიდან ბოლომდე, ამოვიღე ის ნაწილი თქვენთვის რომ მინდოდა გამეხსენებო- ავამეცნო, წავიკითხე ის ნაწილიც კიდევ ერთხელ და გამახსენდა დავით გაბეზარ- დაშვილის ზეპით რომ ვახსენე იმ წინ- ათქმის დასაწყისი და ვთავაზობთ თქვენც: „თავის სახელოვან შვილთა შორის ქართველი ხალხი ყოველთვის სიამაყის გრძობით ასახელებს ნიკო ნიკოლაძეს. მშობელი ერის ასეთი სიყვარული და სიძაბოა მან თავის სიცოცხლეშივე დაი- სახურა. ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერ- თელთან და გიორგი წერეთელთან ერთ- ად, იგი გამოჩენილ სამოციანელთა ყვე- ლაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი და პროგრესულად მოაზროვნე იყო.

განსხვავებით თავის დიდ თანამე- დროეუთაგან, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პოეტი, ბელეტრისტი, — მხატვრული სიტყვის ოსტატი, მათ გვერდით სამუდამო ღვთის უფლება მან მხეილი პუბ- ლიცისტურკრიტიკული კალიბრი და ფაუ- თო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღ- ვაწრობით დაიხსურა ადვილად წარმო- სადგენია, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი თავისი მოწოდების სფეროში, როცა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბუმბერაზი ქართველი მწერ- ლები და მშობლიური ხალხის ფიქრთა მკერობები ილია და აკაკი მას ყველაზე უფრო საიმედო თანამებრძოლად და მოაზროვნედ თვლიდნენ, ნ. ნიკოლაძე, პირველ ყოვლისა, დიდი ეროვნული მოღვაწე და ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენელია. ამასთან, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი ნ. ნიკოლაძე გასცდა ეროვნულ საზღვრებს, რუსული და ევროპულ აზროვნების ასპარეზზე იგი გავიდა როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი? დემოკრატების ნიჭიერი მოწვევ და თანამებრძოლი, ფართო ეროვნობის მქონე, მოაზროვნე და მებრძოლი ტე- მერამენტით აღჭურვილი ქართველი პუბლიცისტი.

მოუხდავად იმისა, რომ საბრძოლო ასპარეზად მიღლი კულტურული მო-

ვლიოს აზრთა ჭიდილის სარბიელი აირჩია და მოღვაწეობის სფეროც ვიწ- როდ აი შემოუფარგლავს, ნ. ნიკოლაძემ მინც წარმატებით დააწინა თავი ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელ პუბლიცის- ტურ შაბლონს, ტრაფარეტსა და მე- ნიერულ სიღრმეს მოკლებულ დიდებულ- ტურ ქადაგებას.“

„მატიანეს“ კალენდრით 1871 ან- ვარია და „ქრუნალ“ „კრებულში“ იბე- ჭდება მისი ლექსები: „...ს... ჩ... სას“ („სატრფოვ; სმირად ღალი ფიქრი...“) და „მესმის, მესმის სანატრელი...“ ამ უკან- ასკნელს, რომელიც ეძღვნება ვაჟზე გარიბალდის და იტალიის ეროვნულ- გამოთავისუფლებელ მოძრაობას, ქრუნალის რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე, ცენზურის თვალის ასახვევად, აკეთებს სქოლიოს: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს კეთდებოდა“.

დამთავანძი, კი ჰგავს გურულ- ფესვიანის ნამოქმედარს ცენზურის თვალის ასახვევი!

ამა წლის ქრუნალ „კრებულის“ თებერვლის ნომერში იბეჭდება მისი ლექსები: „ჩ... სას“ („უცხო თემის ფარბ მოქმელს...“) და „...ს, სად არიან სიჭა- ბუკვ...“ ასევე — „მეზავრის წერილების“ პირველი ოთხი თავი.

და აი, „მატიანეს“ კალენდრით „1871 19 სექტემბრამდე“ ა „თბილისში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის მოახლოებულ ვიზიტთან დაკავშირებით ღვება კომისია მისთვის მისართმევი ადრესის შესადგენად. კომისიის შემდ- გენლობაში შედიან როგორც ახალი (ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი, ბესარიონ ლილობერიძე, ნიკო ნიკოლაძე), ისე ძველი თაობის წარმომადგენლები (გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბარ- თელისი ძე თუმანიშვილი, დიმიტრი კორეჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი). პირველი ვგუფის ძალისხმევით იმპერა- ტორის-თვის წარსადგენ ადრესში წერენ უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას.“

აქ, მე, თქვენის ნებართვით, თავად აკაკის უნდა მივმართო, მოუბოდიშო და „პატრიოტის აღსარებას“ შენიშვნა, ულუ- ქსოდ მოვიტანო, ვიმელონებ, არ მიწყნო:

„1870 წელს ჩამობრძანდა ხელ- მწიფე საქართველოში, ხალხს უნდა მე- რთობა ადრესი და გაეცხადება სათხ- თვარიც თუ რამ ეწებოდა.—აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია (მარშალი). ახალთაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ-ასწავლებელს, მაგრამ რადგანც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლა, ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მინც უნდა გახსნილიყო. ახალთაობას და ქვეყნის სურვილმა ხმის უბეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანც იმთ ბესარიონ ლილობერიძეც მიუღვა გადასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უნივერსიტეტო საგანი ითხოვეს და ისე მართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსამობა ძველის და ახალთაობის შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარ- იონ ლილობერიძე და ნ. ნიკოლაძე. ოთხიც ძველიდან: გ. ორბელიანი, ე- ბართელაძე თუმანიშვილი, ლექსი, სადაც მოხსენია ძველები. დასტაღულათ ამბობ- და: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამის ფეხ- ბზე ჰკვიდაო!“ ამ ლექსს უპასუხა გრიგოლ ორბელიანმა: „კილობუზებო? ლიბერალებო!“ და სხვანი. იქ მუტად გაღანძილული და შურასხული იყო ახალთაობა. სხვათა შორის, (თუცა მე არაფერ შუაში ვყოფილვარ,) მეც ვიყავი მოხსენებელი: „აკაკიები, ბაკაკიების და სხვანი, და მეც ახალთაობის სახელით დავსწერე: „ქრუნალის ხარაბუხა“ და გაიმართა უცენზურო მერლობა. უცენ- ზურო მიტომ, რომ დიდკაცებს ეხებოდა. აი ეს ალგეორიებიც: „პატრიოტის აღსარება“ (ვითომ ძველების მხრით). „კილო ბუზების“ პასუხი და დავით ორბელიანი მამინ დაიწერა.“

მძიმე სურათია. წერილს მძიმე სურათის მე ვერ დავასრულებ... ახალ და ძველ ახალწლამდე დიდი დრო აღარ დარჩა და მითუფრო.



სტუდენტების ვგუფი კონსტანტინის ციხეში: პირველ რიგში სხედან: კოვალენ- სკი, ვეტუშევსკი, იმერლიშვილი, გულევიჩი. მეორე რიგში: ნიკო ნიკოლაძე, პ ალხანიშვილი, ვ. გოგიბერიძე, გიორგი წერეთელი. მესამე რიგში: ვარისკაცები, ოფი- ცრები და სტუდენტები: ჩილოფაშვილი, პიოტროვსკი, ფატუროვსკი, კირილე ლორთქიფანიძე. 1861 წ. (ფოტის კოლხური კულტურის მუზეუმი)

„მატიანეს“ კალენდრით 1873 წლის იანვარია. „ნიკო ნიკოლაძე ქრუნალ კრებულში ბეჭდავს სტატიას „ახალი ახალგაზრდობა“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას.“

„...უ დავიფიქვებთ, რომ როცა ეს ახალგაზრდობა სწავლას შეუღვა, ჩვენ საზოგადოებაში ვერ კიდევ არ იხმოდა გაუმჯობესების საჭიროება და სურვილი. სწავლის მიზნადღვლი ძალა, იმ დროს, მარტო იმ უპირატე-სობაში მდგომარეობ- და, რომელსაც დიპლომები და განათლების ბზინვა ახალგაზრდა კაცს სამ- სახურის ას პარეზზე აძლევდა. დაობეუ- ლი, უმოძრაო ცხოვრებაში აღზრდილ ახალგაზრდას ვზავნიდენ უნივერსიტეტში, სადაც საკმაო მოძრაობა არ ეძლეოდა ახალი მიმართულების ძალას, ვისაც მამინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტენის დაყოლოდა, ის თვითონ იყავადა გონების გახსნის ზგას. იმას როდი აკმაყ- ოფილბდა ადამსწლის პროფესორების დაძველ-ებული და მამაპაპური ლექციები,

იმას არ აძინებდა დიდ ღობის იმედი და მოსვენებას არ აძლევდა ის კითხ-ვები, რომელნიც ყოველი ხეირიანი ახალ გაზდის გონებაში ვგუფავგუფათ იბადე- ბან და პასუხს მოუსვენარათ ეძებენ. ამისთანა ვმასწავლებლები თვით-ონ თავიანთი შრომით და ვაგებულებით, შეუღვენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელსაც არა-ერთი კავშირი არ ჰქონ- და პროფესორების ლექციებთან. ცხოვრე- ბის დაკვირვებით, ლიტერატურის გაც- ნობ-ით, კითხვით, ფიქრით, ბასით, მოქმედების და წერის ცდით, მეცადი- ნობილენ ესენი, დამზადებულები ჩვენი ხალხის სასარგებლო. მასურებათ, და, რამდენა თაც კი მამხნდელი გარემოებები და მათი ნიჭი იმთ ამის ნებას აძლევდენ, კიდევ დაეზადენ. ამგვარი იყო. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის და ზოგიერთი იმ დროის ახალგაზრდის დამზადება.“

ბიო პილაპე

## იუნკერი გენალი ხუნდაპე



გენალი ხუნდაპე 1902 წელს დაბადა სოფელ კალაგონში. მისი ძმები იყვნენ პროფესორები სიმონ და ტროფიმი ხუნდაპეები.

### გენალი ხუნდაპე

სწავლობდა ოუნკერთა სასწავ- ლებელში, რომლის დამთავრება არ დასცალდა, რადგან 1921 წლის თე- ბერვალში რუსეთმა დაარღვია საქარ- თველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულ- ება და ომის გამოუცხადებლად

დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. 1921 წლის თებერვალში თბილისის დასა- ცავად ტაბახმელასთან რუსეთის მე-II არმიის წინააღმდეგ გამართულ უთანა- სწორო ბრძოლაში თავისუფ-ლების დამცველ ოუნკრებს შორის გენალი ხუნდაპეც იდგა და მერე ახალგაზრ- და ოუნკერი საქართველოს მამინდელ მთავრობას ემიგრაციაში გაჰყვია.იგი პოლონეთში დამკვიდრდა და იქაურ არმიაში დაიწყო სამსახური.

მამინდელ ქართველ ემიგრანტთა დიდი ვგუფი საფრანგეთის გარდა პოლონეთშიც დასახლდა, სადაც ქართველები ვერ კიდევ საქარ- თველოს ოკუპაციამდე ცხოვრობდნენ, კავკასიის ქვეყნების მამინდელ წარ- მომადგენლობას პოლონეთში ვალერი- ანსიდამონ-ერისთავი ხელმძღვანე- ლობდა, რომელმაც სერგო ყურუ- ლიშვილსა და ალექსანდრე გომი- აშვილთან ერთად „თვითგადარჩენის კომიტეტი“ დააარსა.

1921 წელს ს. ყურულიშვილის ხელმძღვანელობით „ქართულ-პოლონურ- ი კლუბი“ შეიქმნა, რომელმაც ერთჯე- რადი ქრუნალის „ამირანი“ გამოცა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკ- უპაციის შემდეგ ქართველები სტამ- ბოლიდან პოლონეთში სამეჯუფად ჩავიდნენ: 1921 წლის დეკემბერში — 25 ოუნკერი, 1922 წლის შემოდგომაზე — 5 გენერალი და 30 ოფიცერი ოჯ- ახებიერთ, 1922 წლის ბოლოს საბერძნეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო იქ მცხოვრები 20 ოუნკერი იძულებული იყო ათენის სამხედრო სკოლა დაეტოვებინათ და

პოლონეთში გადასახლებულიყვნენ, ამდენად, საფრანგეთში ჩასული 5 ოუნკერის გარდა ყველა მათგანი პოლონეთში აღმოჩნდა.

პოლონელი გენერლის პილსუდ- სკის ინიციატივით ქართველი ოუნ- კრები პოლონეთის სამხედრო სასწავ- ვლებლის კურსანტებად მიიღეს და მთელი წლის სასწავლოდა დღიური ხარჯებისაგან გაათავისუფლეს. ეს იყო იმ ერთობლივი სიძაბოთის დას- ტური, რომელიც რუსეთის იმპერიის მონობაში მყოფ ქართველ და პო- ლონელ ხალხებს შორის ვერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა.

ამჟამად თავისუფალმა პოლონე- თმა დამოუკიდებლობა დაკარგული ერის წარმომადგენლებს დახმარების ხელი გაუწოდა და თავშესაფარი მისცა. პრეზიდენტმა პილსუდსკიმ და პოლონეთის ხელისუფლებამ ლტოლ- ვილებს საუკეთესო პირობები შეუქ- მნეს. სამხედრო სასწავლებელში ჩაი- რიცხა 46 ოუნკერი და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა მათგანმა ოფიცრის ჩინი მიიღო. ისინი სხე- აღასხვა შენაერთში გაანაწილეს. ამასთან საცხოვრებელიადა მაღა- ლანაზღაურებადი თანამდებობებით უზრუნველყვეს.

ამრიგად პოლონეთში დასახლდ- ნენ გენერლები ივანე ყაზბეგი, ზაქარია ბაქრაძე, ალექსანდრე ზაქა- რიაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ალექსან- დრე კონიაშვილი, კირილე ქუთა- თელაძე, პოლკ-ოფიცრები რომან გვე- ლისიანი, ნიკოლოზ ვანაძე, პლატონ მიქელაძე, ალექსანდრე ბაგრატიონი,

ნიკოლოზ კანდელაკი, კონსტანტინე კიკვაძე, ვლადიმერ სიდამონ- ერისთავი, ვალერიან თევზაძე; მაიორები დავით და ბიძინა ქუთათელაძეები, დიმიტრი შალიკაშ- ვილი, ლადო სიამაშვილი, კონსტან- ტინე სიამაშვილი, კონსტანტინე ტერ- იაშვილი, ალექსანდრე კონიაშვილი, ალექსანდრე ალავეტი, გიორგი ფავლ- ენიშვილი, არტემ არინიშვიდი, ალექ- სანდრე ყიფიანი, დავით მაჭავარიანი, კაპიტნები ლევან კვალი-აშვილი, მიხ- ეილ კანდელაკი, ვასილ ინჯია, დავით ვანაძე, ზენონ მამალაძე, მიხეილ რუსიშვილი, დავით კლიმია-შვილი, ივანე ქავთარაძე, დავით ჭყვიანია.

გენალი ხუნდაპე ახერხებდა ა პო- ლონეთიდან საქართველოში წერ- ილების მოწერას. ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „რა უბედურება ემართება ამ სიბერის დროს ჩვენს ოჯახს, დავკარგეთ საცოდავი სიმონიკა, მამა ჩვენი, ტროფიმეს ქალიშვილი, ესლა ესლა გვაკლია, რომ ტროფიმე ავადმე- ოფობს, ვერ წარმოიდგენ როგორ იმო- ქმნა ჩემზედ სიმონიკას სიკვდილმა, რამდენიმე დღე ავადმეყოფობდი, ნერვ- ები თითქმის სრულიებით მომეშალა და გულმა ფრიალი დამიწყო, იმ დღ- იდან აქამდის მაქვს გულის ფრიალი დაძლიერ ნერვული გავხდი.“

გენალის ძლიერ ენატრებოდა თა- ვისი სამშობლო, იგი ერთ-ერთ თავის წერილში წერდა, რომ დასაბრუნე- ბლად ფულის დაგროვება დაიწყო და სთხოვა ყველას, რომ დაბრუნებისას სამშობლოში რაიმე საქმე ეშოვათ. იგი ძალიან წუხდა, რომ დატოვა

სამშობლო. მისტიროდა თავისი სოფ- ლის იდილას და მაინდა, რომ ვროპაში მისი წასვლა შეცდომა იყო. მისი წერილ- დან ჩანს, რომ იგი პოლონეთში დაქორ- წინებასაც არ აპირებდა და მხოლოდ სამშობლოში დაბრუნებული დაქორწინდე- ბოდა ქართველ ქალზე.

ერთი სიტყვით, ცხადია, ძნელი იყო ქართველი კაცისათვის უცხო- ობაში ყოფნა. აი რას წერდა გენალი ხუნდაპე ერთ-ერთ თავის წერილში: აქ ყოველდღე ვუსმენ რადიოს თფილ- ისიდან: ყველაზე უფრო საინტერესოა ქართველი ქალების ხორი. თამარა. ლეჟავა (ის, რომელიც იძლევა ცნო- ბებს) ძლიერ დაბალი ხმით დაპარ- აკობს, მთელი ჩემი გული და სულ- ითქვენთან არის. ესელა აქ საღამოს 8 საათია, მაქ კი 11-ი. თფილისის რადიო იძლევა რაღაც კონცერტს...ძლიერ მინდა მანდ დაბრუნება.

სამწესწაროდ სამშობლოში დაბრ- უნება გ. ხუნდაპის ოცნებად დარჩა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და იგი ვერ პოლონეთის არმიის 25-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში იბრძოდა, ხოლო ფაშისტების მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ პარტიზანებთან წასულა. იმ დროს პარტიზანთაშორის იყვნენ პოლკოვნიკი თევზაძე, მაიორე- ბი აროშიძე და ალავეტი, კაპიტანი აბაშიძე, როტმისტერი კვალიაშვილი.

კაპიტანი გენალი ხუნდაპე ერთ- ერთ შეტაკებაში დაიღუპა.

### მანაპე ლომაპე

ოზურგეთის სამუხეუმო გაერთიანების მთავარი მცველი ექიმი ლეშან ძენლაპე





# ბურიას და გურულეხს მალე მსოფლიო ბაიციონოს ლევან კოლუაშვილი გურულეხზე ფილმს იღებს



40 წელს მიტანებული ქვრივი ზურიკო ყოფილ სიდედრთან და 16 წლის შვილთან ერთად გურიაში ცხოვრობს. მოჰყავს თხილი, პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხით კი თბილისში შვილის სასწავლებლად გაგზავნა სურს. ზურიკოს უახლოესი მეგობარი, „მარშუტკის“ მძღოლი გელა და ზურიკოს სიდედრი ფიქრობენ, რომ მას შემდეგ, რაც მოზარდი სასწავლებლად დედაქალაქში გადავა, ზურიკო მარტო დარჩება და მარტოსული სიბერეც ექნება. ისინი გამოსავალს ზურიკოს ხელახლა დაოჯახებაში ხედავენ, მიზნის მისაღწევად კი, ყოფილი სიდედრი სიძისთვის, გელა კი მეგობრ-ისთვის ახალ საცოლეს ეძებენ. სასურველ კანდიდატებს ზურიკოსაც აცნობენ. ამ დროს გარეთ 1990-იანი წლები, სამოქალაქო ომი, გზებზე ბანდიტების თარეში და უშუქობაა.

მოიძებნება, თუ არა ზურიკოსთვის სასურველი საცოლე და ჩამოყალიბდება, თუ არა ახალი ოჯახი ამას მას შემდეგ გავიგებთ, რაც გურიაში ცნობილი ქართველი რეჟის-

ორის, **ლევან კოლუაშვილის** საავტორო ფილმის „გურიის“ გადაღებები დასრულდება და კინოპროდუქტი ეკრანებზე გასაშვებად მზად იქნება. სწორედ ასეთია ფილმის სცენარი, რომლის გადაღებაც ლევან კოლუაშვილს დიდი ხნის განმავლობაში სურდა. რეჟისორს მიზნის საბოლოოდ განხორციელებაში ცნობილი ქართველი მწერლის, **გიორგი კეკელიძის** ნაწარმოების, „გურული დღიურების“ წაკითხვა დაეხმარა. ფილმის სცენარის ავტორები არიან ბორის ფრუმინი, ლევან კოლუაშვილი და გიორგი კეკელიძე.

„მას შემდეგ, რაც დავიწყე კინოში გააზრებული მუშაობა, ყოველთვის მინდოდა გურიაში კინოს გადაღება. არ ვიცი, საიდან ვაჩნდა ჩემში ეს სურვილი, რადგან მე თვითონ გურიაში არ ვარ. ჩემი ვზამკვლევი გურიაში იყო მწერალი, გიორგი კეკელიძე. წავიკითხე მისი „გურული დღიურები“ და მომეწონა მისი მოგონებები 1990-იან წლებზე, თავის ბავშობაზე, გურიაზე. მომეწონა მისი იუმორი, სევდა. დაუუკავშირდი გიორგის და მან შემომ-

თავაზა, რომ ერთად წავსულიყავით გურიაში. გავყვევი მას, შემდეგ დავრჩი და საკმაოდ დიდი დრო ვაკატარე ამ რეგიონში. ვხვდებოდი ხალხს, ვესაუბრებოდი, ინტერვიუებს ვიწერდი. გურიაში ყოფნისას სწორედ ამ საუბრებიდან შეგროვდა ის მასალა და ისტორიები, რომელიც ფილმის სცენარის საფუძველი გახდა.“ – განმარტავს ფილმის სცენარზე საუბრისას **ლევან კოლუაშვილი**.

ალსანიშნავია, რომ ფილმის გადაღებებში მხოლოდ ქართული მხარის ძაღლისხმევა არ დევს. იდეის ავტორმა უკვე მოახერხა და „გურიის“ მიმართ ინტერესი ევროპის რამდენიმე ქვეყანაში აღძრა. შედეგად, მზადების პროცესში მყოფი ფილმისთვის ევროპიდან მოზიდული თანხების ჯამური მოცულობა 850 ათასი ევროა. შეიქცარია, ლუქსემბურგი, ბულგარეთი და თურქეთი „გურიის“ თანაპროდუცერები არიან. კითხვაზე, რა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ევროპელი პროდუცერები „გურიით“ დაინტერესდნენ, **ლევან კოლუაშვილი** პასუხობს: „მათ ამ მასალაში დაინახეს ადამიანური სითბო, ურთიერთობები, იუმორი. ის, რაც, დღევანდელ, საკმაოდ რთულ დროში, როდესაც ამდენი პრობლემაა, ხალხი ასეთი დასტრესილია, ყველაზე მეტად გვჭირდება და გვაკლია“...

ფილმის გადაღების პროცესს ქართველი სპონსორებიც გამოუწოდნენ. დამფინანსებელ კომპანიებს შორის საკუთარ ადგილს „**ბაზვი ჰესიცი**“ იკავებს.

„90-იანი წლების პირველი ასოციაცია უშუქობა და სიღუბეჭირება. სამწუხარო ფაქტი და სიმბოლურიც კია რომ 30 წლის შემდეგაც საქართველოში ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი ჯერ

კიდევ აქტუალური და გადაუჭრელია საკვირველია, რომ მიუხედავად ჩვენი წარსულისა დღეს ჩვენი განახლებადი ენერგო რესურსის ასათვისებლად და პროექტების გასავითარებლად გვიწევს ბრძოლა და მტკიცება იმისა, რომ ამ სფეროს განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა და არსებული რესურსის გონივრულად არ ათვისება ქვეყნის ღალატის ტოლფასია. დღეს, ჩვენ, გურულეხთან ერთად ვავითარებთ ბაზვი 1 და ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურების პროექტებს. ამ ხნის მანძილზე ძალიან შეგვიყვარდა გურია და გურულეხი, ერთი საამოვნებაა ადგილობრივებთან ერთად ნებისმიერი საქმის კეთება. ფილმის მხარდაჭერა, ჩვენთვის ვარკვეულწილად, გურულეხისთვის მადლობის გადახდის კარგი საშუალებაა. გვინდა, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმ ფილმის კეთებაში, რომელიც მსოფლიოს დაანახებს გურული ხალხის იუმორს, კეთილშობილებას, ადამიანობას და გაჭირვების დროს მოყვასის გვერდში დგომის გამოჩენულ უნარს. წარმატებებს ვუსურვებთ ფილმის გადამღებ ჯგუფს და დიდი მოლოდინით ველით ფილმის დიდ ეკრანებზე გამოსვლას“ – განაცხადა **გიორგი აბრამიშვილმა**, კომპანია „ბაზვი ჰესის“ დირექტორმა ჩვენთან საუბარში.

გურიაში ფილმის გადაღების პროცესი უკვე აქატიურად მიმდინარეობს. მისი დასრულება კი მომავალი წლის გაზაფხულზე იგეგმება. ამის პარალელურად ქართველი რეჟისორისა და მწერლისთვის არსებობს კიდევ ერთი და დიდი ამოცანა – სურთ, „გურია“ იქცეს სახალხო ფილმად, რომელსაც მაყურებელი შეიყვარებს, რომლის


დაილოცებაც დაიმახსოვრებენ და გაიმეორებენ.

„სცენარზე მუშაობა რთული და ცოცხალი პროცესია. გამომდებით იცვლება დეტალები და დეტალების ცვლილებამ საბოლოოდ შეიძლება ფუნდამენტური გავლენაც იქონიეს. ჩვენ წლებია ვმუშაობთ ამ სცენარზე. საწყისი ეტაპი ისტორიების შეგროვება იყო, უამრავ ადამიანს შევხვდით, საოცარი მასალა დაგროვდა, შესაბამისად, „გურული დღიურებიდან“ ამ წიგნში მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია შემორჩენილი და ერთი-ორი ჩემი გამოუცემელი წიგნიდან. რეალურად, ეს დამოუკიდებელი სცენარია, ოლონდ, ცხადია ისევ გურიაზე, ისევ ოთხმოცდაათიანებზე და ისტორიები ისევ ადამიანური მარცხის, გადარჩენის და გამარჯვებისაა“ – ამბობს **გიორგი კეკელიძე**.

ლევან კოლუაშვილი დარწმუნებულია, რომ „გურიას“ საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოხვედრის უდიდესი პოტენციალი აქვს. ფილმმა უკვე დაიმსახურა კანის კინოფესტივალის ყურადღება, რაც იმაში გამოიხატა, რომ 2022 წელს „გურია“ ამ პლატფორმის ატლელი სექციაში შეირჩა. ქართველი რეჟისორის, ლევან კოლუაშვილის ყველა ფილმი წარმატებით მოგზაურობს კინოფესტივალებზე. მას მოგებული გვაქვს 40-ზე მეტი საერთაშორისო ჯილდო, გაქირავებაში გამოხულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, ბოლო ფილმი, „მეოთხე ბრაიტონი“ იყო საქართველოს კანდიდატი ოსკარებზე. გაქირავებაში გამოვიდა ამერიკაში, საფრანგეთში, სადაც 50-ზე მეტ კინოთეატრში იყო ნაჩვენები. რეჟისორი ფიქრობს, რომ „გურიას“ ამ მხრივ კიდევ უფრო დიდი პოტენციალი აქვს.

## ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომი წლებში

დასაწყისი „ალიონი“ № 27



**პავლანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს გენერალ-მაიორ ფიოდორ ბრიაზნოვის მკვლელობა (1906 წლის 16 იანვარი)**

1906 წლის 16 იანვარს, დილის 11 საათზე, თბილისში, ალექსანდრ ბარიატინსკის (შემდეგში არსენა

ვორჯიაშვილის, დღეს – გიორგი ჭანტურიას–გვ.) ქუჩაზე, ეგვიპტი გოლოვინის (დღევანდელი შოთა რუსთაველის–გვ.) პროსპექტის მიმართულებით მიმავალ ეტლს, რომელიც ეკუთვნოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ **ფიოდორ გრიაზნოვს**, ტერორ-

ისტმა ბომბი ესროლა. ბომბი გაისროლეს მაშინ, როცა გენერლის ეტლი ბარიატინსკის ქუჩიდან ალექსანდრეს (დღევანდელი 9 აპრილის–გვ.) ბაღში შე-სასვლელსა და საინჟინრო სამმართველოს შენობას შორის იმყოფებოდა (ეს შენობა ახლაც დგას გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმსა და სასტუმრო „თბილისი-მერიტის“ შორის –გვ.). გენერალი ფიოდორ გრიაზნოვი მძიმედ დაიჭრა და ბარიატინსკის ქუჩიდან მიხეილის საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. როგორც ოფიციალური წყაროებიდან ვახდა ცნობილი, ტერორისტი ადგილზევე (ბარიატინსკის ქუჩის მხრიდან ალექსანდრეს ბაღის გასწვრივ ტროტუარზე) შეიპყრეს. დამნაშავეს დაკითხვა ცხელ კვალზე ვერ მოხერხდა, რადგან ბომბის აფეთქების შედეგად მას კონტუზია ჰქონდა მიღებული და საუბარი არ შეეძლო. ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით მასალების მოკვლევასა და გამოძიებას აწარმოებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარ-მერიის სამმართველო (უფროსი პოლიკოვნიკი **ივან პასტრულინი**) და თბილისის ოზრანკა(საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის განყოფილება). გენერლის მკვლელობის საქმეს იძიებდა კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურა (სამხედრო გამოძიებელი

პოლიკოვნიკი **მანტიფელი**).

გენერალ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობა უაღრესად დამაბულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა. 1905 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1906 წლის იანვრის დამდეგს თბილისში ჯარმა და პოლიციამ გაფიცვებსა და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე მუშები დაარბია. დიდუბესა და ნაძალადეგში მუშებმა ბარიკადები მოაწყვეს და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჯარსა და პოლიციას. ამის საპასუხოდ არტილერიის გამოყენებით იქნა დანგრეული ბარიკადები და მრავალი შენობა დიდუბესა და ნაძალადეგში. ბევრი მუშა დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი დაპატიმრებული იქნა. შეტაკებისას დაიღუპნენ პოლიციელები და ჯარისკაცები. ხელისუფლებამ თბილისში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, ქალაქის ცენტრალური უბნების ქუჩები, მოედნები და ბაღები ჯარითა და პოლიციელებით იყო სავსე. ჯარი და პოლიცია იცავდა სახელმწიფო დაწესებულებებს (კავკასიის მეფის ნაცვლის რეზიდენციას, თბილისის გუბერნატორის რეზიდენციას, თბილისის საკრებულოს, ბანკს, ფოსტატელეგრაფს, და სხვ.). ოცდაოთხი საათი მორიგეობდა ჯარი და პოლიცია თბილისის რეკინგზის სადგურში, მტკვარზე არსებულ ხიდებზე და დიდ ფაბრიკა-ქარხნებთან. რუსეთის რეგუ-

ლარული ჯარის ერთი საარტილერიო ნაწილი მთაწმი-დაზე განლაგდა, საიდანაც არტილერიისტებმა ქვემეხები ქალაქს დაუმიზნეს.

გენერალ ფიოდორ გრიაზნოვის მკვლელობის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა:

1.თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომდმოიპოვა შემთხვევის ადგილზე დაკავებული ტერორისტის პირადობის დამადასტურებელი ცნობა, რომლიდანაც დაეინდობოდა, რომ იგი იყო თბილისის გუბერნიის თბილისის მაზრის **დიდი ენაგეთის** სასოფლო თემის სოფელ **ბოგვის** მცხოვრები, თბილისის ამიერკავკასიის რეინიგზის მთავარი სახელმწიფოების მუშა **არსენა პავლეს ძე ჯოიაშვილი**. დიდი ენაგეთის წმინ და გიორგის სახელობის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების წიგნში 1881 წლის 22 აპრილის №11 ჩანაწერი გვაუწყებდა: დაიბადა 7 აპრილს, მონათლა 22 აპრილს არსენა. მისი მშობლები არიან: სოფელ დიდი ენაგეთის მცხოვრებლები – სახელმწიფო გლეხი **პავლე სიმონის ძე ჯოიაშვილი** და მისი სჯულიერი მუხლვე **დარჯვან ივანეს ასული**, ორივენი მართლმადიდებლური აღმსარებლობისა

**(გაბრძემბა იქნება)**

**პავლან გურული**  
(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 556-557



